# საქართველოს კანონი

## საერთაშორისო დაცვის შესახებ

ეს კანონი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა მონაწილეც არის საქართველო, აგრეთვე საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

## თავი I

## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს:

ა) უცხოელისა და იმ მოქალაქეობის არმქონე პირის, რომელიც არ არის საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი (შემდგომ – მოქალაქეობის არმქონე პირი), საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას და ყოფნას, რომლებმაც ამ კანონის შესაბამისად მოითხოვეს საერთაშორისო დაცვა, აგრეთვე მათ მიმართ მოპყრობის სტანდარტებს;

ბ) თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირისა და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სამართლებრივ მდგომარეობას, უფლება-მოვალეობებს და სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებს;

გ) უცხოელისა და მოქალაქეობის არმქონე პირისათვის საქართველოში ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, გაუქმებისა და ჩამორთმევის და შესაბამისი სტატუსიდან გამორიცხვის საფუძვლებსა და პროცედურებს;

დ) სახელმწიფო უწყებათა კომპეტენციებს თავშესაფრის პროცედურის უზრუნველყოფის სფეროში.

### მუხლი 2. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია:

ა) შექმნას თავშესაფრის პროცედურისთვის საჭირო სამართლებრივი ჩარჩო;

ბ) ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოს თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირისა და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დაცვა;

გ) უზრუნველყოს თავშესაფრის პროცედურა ამ კანონით გათვალისწინებული საერთაშორისო დაცვის მექანიზმების გამოყენებით.

### მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სამინისტრო – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ბ) საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა – უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოში საერთაშორისო დაცვის მიღების ნების გამოხატვა პირდაპირ ან არაპირდაპირ, ზეპირად ან წერილობით;

გ) თავშესაფრის პროცედურა – სამართლებრივი პროცესი, რომელიც მოიცავს ამ კანონის

აღსრულებისთვის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებულ ქმედებებს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის მომენტიდან საერთაშორისო დაცვის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე;

დ) საერთაშორისო დაცვაზე განცხადება – უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის წერილობითი განცხადება, რომლითაც იგი საქართველოში ითხოვს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებას;

ე) თავშესაფრის მაძიებელი – უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართა სახელმწიფო უწყებას და რომლის მიმართაც სამინისტროს გადაწყვეტილება არ მიუღია ან რომლის მიმართაც სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ შესულა, გარდა ამ კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენის შემთხვევაში უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი თავშესაფრის მაძიებლად მიიჩნევა მხოლოდ ამ კანონის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ამ აქტის გამოცემის მომენტიდან;

ვ) საერთაშორისო დაცვა – თავშესაფრის პროცედურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დაცვა ამ კანონით დადგენილი წესით;

ზ) თავშესაფრის მაძიებლის ცნობა – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართვას და საქართველოში მის კანონიერ ყოფნას;

თ) ლტოლვილი – უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელსაც ამ კანონის მე-15 მუხლის საფუძველზე მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი;

ი) ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი – უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელსაც ამ კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე მიენიჭა ჰუმანიტარული სტატუსი;

კ) დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირი – უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელსაც ამ კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე მიენიჭა დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი;

ლ) საერთაშორისო დაცვის მქონე პირი – ლტოლვილი, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირი;

მ) არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი – არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება და შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის „ბავშვის უფლებათა კონვენციას“;

ნ) წარმოშობის ქვეყანა – უცხოელის მოქალაქეობის ქვეყანა, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა;

ო) უფლებამოსილი თანამდებობის პირი – სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურე, რომელიც ამ კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე;

პ) დაკავება – თავშესაფრის მაძიებლისათვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში/დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებით;

ჟ) საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლა – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთა ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ან სხვა უკანონო გზით;

რ) შიდა გადაადგილების ალტერნატივა – წარმოშობის ქვეყანაში გარკვეულ ტერიტორიაზე თავშესაფრის მაძიებლის გადაადგილების შესაძლებლობა, სადაც მას არ აქვს დევნის საფუძვლიანი შიში, ან იგი არ დგას სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე, ან მას ხელი მიუწვდება დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან აღნიშნული ქვეყნის სახელმწიფო უწყებათა მიერ ეფექტიან და ხანგრძლივ დაცვაზე და სადაც შესაძლებელია უსაფრთხოდ ჩავიდეს, კანონიერად იქნეს დაშვებული და დასახლდეს, ამასთანავე, ხელი მიუწვდებოდეს ადამიანის უფლებათა პატივისცემასა და ეკონომიკური გადარჩენის შესაძლებლობაზე;

ს) ოჯახის წევრი – თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მეუღლე ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პარტნიორი, ამ პირთა არასრულწლოვანი შვილები რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული ქორწინებიდან და წარმოშობის ქვეყნის სამართლის საფუძველზე შვილად აყვანილი არასრულწლოვნები, დედა, მამა, საერთაშორისო დაცვის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი, განსაზღვრული წარმოშობის ქვეყნის სამართლით ან წარმოშობის ქვეყანაში არსებული პრაქტიკით, აგრეთვე განმცხადებლის ან მისი მეუღლის მშობელი და დასაოჯახებელი სრულწლოვანი შვილი, რომლებიც მასზე არიან დამოკიდებული, ან მხარდაჭერის მიმღები პირი (პირები);

ტ) ოჯახის გაერთიანება – ოჯახის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის წევრთა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა და ცხოვრება;

უ) წარმოებული სტატუსი – ოჯახის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის წევრისათვის მინიჭებული სტატუსი;

ფ) მასობრივი შემოსვლა – ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაკადის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთა და საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა, რასთან გამკლავებას ან რეაგირებას ინდივიდუალური თავშესაფრის პროცედურა ვერ უზრუნველყოფს;

ქ) ნებაყოფლობითი რეპატრიაცია – საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ წარმოშობის ქვეყანაში უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მატერიალური იძულების გარეშე;

ღ) სპეციფიკური საჭიროების მქონე პირი – არასრულწლოვანი, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანი, ხანდაზმული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ორსული, მარტოხელა მშობელი, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, სერიოზული ფიზიკური ან/და ფსიქიკური დაავადების მქონე პირი, პოსტტრავმული აშლილობის მქონე პირი, წამების, გაუპატიურების, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, აგრეთვე სხვა პირი, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ პროცედურულ გარანტიებს, რათა ისარგებლოს ამ კანონით განსაზღვრული უფლებებით და შეასრულოს ამავე კანონით გათვალისწინებული მოვალეობები;

ყ) მიმღები ცენტრი – თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი განთავსების ადგილი;

შ) ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი – „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის 28-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტი;

ჩ) სამგზავრო პასპორტი – ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სამგზავრო დოკუმენტი;

ც) დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა – „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ს“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი;

ძ) კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანი – არასრულწლოვანი, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მშობლების ან მასზე პასუხისმგებელი სრულწლოვანი პირის/მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის თანხლების გარეშე გადმოკვეთა და რომელიც საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართვის მომენტისთვის არ სარგებლობს მშობლების ან მასზე პასუხისმგებელი სრულწლოვანი პირის/მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის წარმომადგენლობით,

აგრეთვე არასრულწლოვანი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ მშობლების ან მასზე პასუხისმგებელი სრულწლოვანი პირის/მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის თანხლების გარეშე აღმოჩნდა;

წ) მინისტრი – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

ჭ) მონაცემთა ბაზა – თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შესახებ მონაცემთა ბაზა, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს სამინისტრო;

ხ) ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები – ამ კანონის X თავით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოები;

ჯ) სახელმწიფო უწყება – სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულება;

ჰ) მარტოხელა მშობელი – თავშესაფრის მაძიებელი ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირი – დედა ან მამა არასრულწლოვან შვილთან (შვილებთან) ერთად.

*საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3099 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.*
*საქართველოს 2022 წლის 11 მაისის კანონი №1567 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.*

## თავი II

## თავშესაფრის პროცედურის ზოგადი პრინციპები და პროცედურული გარანტიები

### მუხლი 4. სამართლებრივი გარანტიები

1. თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებებს იცავს სახელმწიფო.

2. ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების და უფლებამოსილი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ კანონს ეწინააღმდეგება, ბათილია და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს.

### მუხლი 5. კონფიდენციალურობის პრინციპი

1. თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე მათი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შესახებ მონაცემები და სხვა ინფორმაცია კონფიდენციალურია და არ შეიძლება მათი სხვა ორგანიზაციებისთვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის, წარმოშობის ქვეყნის სახელმწიფო უწყებებისა და მოქალაქეებისთვის, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის გამჟღავნება თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა ევალებათ ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელ იმ სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც ახორციელებენ ქმედებებს საერთაშორისო დაცვის სფეროში, აგრეთვე მესამე პირებს, რომლებიც მონაწილეობენ თავშესაფრის პროცედურაში. ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები ხელმძღვანელობენ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებით.

3. შესაძლებელია ინფორმაციის გაცვლა ტერორიზმთან ან ექსტრადიციის საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, თუ დაცული იქნება ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის თაობაზე.

### მუხლი 6. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა და თავშესაფრის პროცედურის ხელმისაწვდომობა

ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები უზრუნველყოფენ იმ უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის უფლების განხორციელებას და მისთვის თავშესაფრის პროცედურის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის მიცემას, რომელიც მოითხოვს საერთაშორისო დაცვას.

## მუხლი 7. თავშესაფრის მაძიებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

1. უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ყალბი ოფიციალური კომპიუტერული მონაცემის შექმნის (გარდა გასაღებასთან დაკავშირებული ქმედებისა), ან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის დარღვევით შესვლის, ან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის, ან ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადების, შეძენის ან გამოყენების მიზნით შენახვის ან გამოყენების (გარდა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის გასაღებასთან დაკავშირებული ქმედებისა) შემთხვევაში, თუკი იგი საქართველოში უშუალოდ იმ ტერიტორიიდან შემოვიდა, სადაც მას ამ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით, მე-19 მუხლის პირველი პუნქტითა და 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით ან ამავე კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფრთხე ემუქრებოდა, და ამ კანონის შესაბამისად მოითხოვა საერთაშორისო დაცვა, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, თუ იგი დაუყოვნებლივ, პირველი შესაძლებლობისთანავე გამოცხადდა ხელისუფლების ორგანოში და წარადგინა სათანადო განმარტება ამ ქმედების ჩადენის მიზეზთან დაკავშირებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება აგრეთვე უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე ჩაიდინა.

4. თუ საერთაშორისო დაცვის თაობაზე შესაბამისი საბოლოო გადაწყვეტილებით განისაზღვრება, რომ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი საერთაშორისო დაცვას არ საჭიროებს, მასზე არ გავრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება.

*საქართველოს 2024 წლის 18 აპრილის კანონი №4138 - ვებგვერდი, 02.05.2024წ.*

## მუხლი 8. არგაძევების პრინციპი

1. თავშესაფრის მაძიებელი ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირი არ უნდა იქნეს დაბრუნებული ან გაძევებული იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო საფრთხე შეექმნება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენება იმ თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიმართ, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას უქმნის საშიშროებას, ან რომელიც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით მსჯავრდებულია საქართველოში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და საფრთხეს უქმნის საზოგადოებას.

## მუხლი 9. დაკავება

1. დაკავება არის უკიდურესი ზომა, რომელიც დისკრიმინაციული არ უნდა იყოს და მხოლოდ კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

2. თავშესაფრის მაძიებლის დაკავება ხდება, თუ:

ა) არსებობს მისი მიმალვის ან/და უფლებამოსილ თანამდებობის პირთან თანამშრომლობისათვის თავის არიდების საფრთხე;

ბ) ვერ ხერხდება მისი იდენტიფიცირება;

გ) არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას.

3. თავშესაფრის მაძიებლის დაკავებისას გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების წესი.

4. დაკავებული თავშესაფრის მაძიებელი სხვა სახის სამართალდამრღვევთაგან განცალკევებით უნდა მოთავსდეს. ქალი და მამაკაცი უნდა მოთავსდნენ ცალ-ცალკე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ერთმანეთისთვის ოჯახის წევრები არიან. არასრულწლოვანი უნდა მოთავსდეს სრულწლოვნისაგან განცალკევებით, თუ ისინი ერთმანეთისთვის ოჯახის წევრები არ არიან. ოჯახის ერთიანობა უნდა იყოს შენარჩუნებული, თუ არ არსებობს უსაფრთხოების სხვა საფუძვლები, რომლებიც მის წევრთა განცალკევებას საჭიროებს.

5. (ამოღებულია - 05.07.2018, №3099).

*საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3099 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.*

## მუხლი 10. დისკრიმინაციის დაუშვებლობა

ეს კანონი დისკრიმინაციის გარეშე უნდა გავრცელდეს თავშესაფრის მაძიებელსა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირზე, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, მოქალაქეობისა, წარმოშობისა, დაბადების ადგილისა, საცხოვრებელი ადგილისა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობისა, რელიგიისა ან რწმენისა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილებისა, პროფესიისა, ოჯახური მდგომარეობისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, შეზღუდული შესაძლებლობისა, სექსუალური ორიენტაციისა, გენდერული იდენტობისა და გამოხატვისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა და სხვა ნიშნისა.

## მუხლი 11. ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვა

1. სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის ერთიანობა.

2. ყველა ოჯახის წევრს აქვს უფლება, მისი საერთაშორისო დაცვაზე განცხადება ინდივიდუალურად იქნეს განხილული.

3. თუ უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს მიენიჭა ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი, ან მას გაუხანგრძლივდა ჰუმანიტარული სტატუსი ან გაუგრძელდა დროებითი დაცვის ვადა, მასთან ერთად მყოფ მის ოჯახის წევრსაც, ისევე, როგორც არასრულწლოვანს, რომლის კანონიერი წარმომადგენელიც/მეურვეც/მზრუნველიც/მხარდამჭერიც არის ეს პირი, ენიჭება ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი, ან მას უხანგრძლივდება ჰუმანიტარული სტატუსი ან უგრძელდება დროებითი დაცვის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ამ კანონის მე-17 ან მე-18 მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

## მუხლი 12. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება

არასრულწლოვანთან დაკავშირებული გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის „ბავშვის უფლებათა კონვენციას“ და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს უნდა ითვალისწინებდეს. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის შეფასებისას ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელმა სახელმწიფო უწყებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ოჯახის ერთიანობის პრინციპს, არასრულწლოვნის კეთილდღეობას, სოციალურ განვითარებას, უსაფრთხოებას და არასრულწლოვნის მოსაზრებას, მისი ასაკისა და უნარების (მათ შორის, განვითარების დონის, აღქმისა და კომუნიკაციის უნარების) გათვალისწინებით.

## მუხლი 13. ეჭვის განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყვეტა

თუ საერთაშორისო დაცვაზე განცხადებაში მითითებული ცალკეული საფუძვლები შესაბამისი დოკუმენტური ან სხვა მტკიცებულებებით არ არის გამყარებული, ასეთ გარემოებებს არ სჭირდება დამტკიცება შემდეგი გარემოებების ერთობლივად არსებობის შემთხვევაში:

ა) თავშესაფრის მაძიებელმა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის დასასაბუთებლად მის ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენა;

ბ) თავშესაფრის მაძიებელმა წარადგინა საქმის განხილვისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ინფორმაცია, ამასთანავე, დამაკმაყოფილებლად ახსნა სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის არარსებობა;

გ) თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარდგენილი ინფორმაცია თანამიმდევრულია, დამაჯერებელია და არ ეწინააღმდეგება წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებულ ინფორმაციას;

დ) თავშესაფრის მაძიებელმა საერთაშორისო დაცვა მოითხოვა ასეთი შესაძლებლობის გაჩენისთანავე, თუ მის მიერ არ იქნა წარდგენილი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემაფერხებელი მიზეზები;

ე) დადგინდა თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციის ზოგადი სანდოობა.

## თავი III

## ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებისა და სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები

### მუხლი 14. საერთაშორისო დაცვის ფორმები

ამ კანონის შესაბამისად, საქართველოში არსებობს საერთაშორისო დაცვის შემდეგი ფორმები:

ა) ლტოლვილის სტატუსი;

ბ) ჰუმანიტარული სტატუსი;

გ) დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი.

### მუხლი 15. ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საფუძვლები

1. ლტოლვილის სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება წარმოშობის ქვეყნის გარეთ, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, და არ შეუძლია ან არ სურს, შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავის წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.

2. იმ ადამიანთა მასობრივი შემოსვლის შემთხვევაში, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას, აღიაროს ლტოლვილები ჯგუფური პრინციპით („prima facie“), მათი წარმოშობის ქვეყანაში არსებული საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით.

### მუხლი 16. ადგილზე წარმოშობილი („sur place“) საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლება

1. საერთაშორისო დაცვის საჭიროება შეიძლება ეფუძნებოდეს საქართველოში მყოფი უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის წარმოშობის ქვეყანაში გარემოებათა მნიშვნელოვნად შეცვლას ან ისეთ ქმედებას, რომელსაც იგი წარმოშობის ქვეყნის დატოვების შემდეგ ახორციელებს.

2. თუ პირმა სამინისტროს განმეორებით მიმართა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით, მას „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის დარღვევის გარეშე შეიძლება უარი ეთქვას ამ კანონით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებაზე, თუ პირის დევნის რისკი იმ გარემოებებიდან გამომდინარეობს, რომლებიც მან წინასწარი განზრახვით, ხელოვნურად შექმნა წარმოშობის ქვეყნის დატოვების შემდეგ.

## მუხლი 17. ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები

1. უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს არ მიენიჭება ლტოლვილის სტატუსი, თუ:

ა) იგი ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობებს;

ბ) არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას ან საზოგადოებრივ წესრიგს;

გ) იგი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით მსჯავრდებულია საქართველოში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

2. უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი არ საჭიროებს ლტოლვილის სტატუსს და მას უარი ეთქმება ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე, თუ:

ა) იგი სხვა ქვეყნის მიერ აღიარებულია ლტოლვილად და არ აქვს ამ ქვეყანაში დევნის საფუძვლიანი შიში ამ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად;

ბ) იგი არის ორი ან ორზე მეტი ქვეყნის მოქალაქე და შეუძლია ისარგებლოს ერთ-ერთი მათგანის მფარველობით;

გ) მას აქვს შიდა გადაადგილების ალტერნატივა;

დ) იგი არ საჭიროებს სამართლებრივ დაცვას, „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის პირველი მუხლის „D“ ნაწილის თანახმად;

ე) იგი სხვა ბინადრობის ქვეყნის უფლებამოსილმა უწყებამ აღიარა ისეთი უფლება-მოვალეობების მქონედ, რომლებიც აქვთ ამ ქვეყნის მოქალაქეებს, და, შესაბამისად, არ საჭიროებს საერთაშორისო დაცვას.

## მუხლი 18. ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვა

უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს არ მიენიჭება ლტოლვილის სტატუსი (გამოირიცხება ლტოლვილის სტატუსიდან), თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-15 მუხლის მოთხოვნებს, თუმცა მის მიმართ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ:

ა) მან ჩაიდინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, ომის დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ამ მიზნით შექმნილი საერთაშორისო აქტებით მსგავსი ქმედებისთვის მინიჭებული განსაზღვრების შესაბამისად;

ბ) მან საქართველოს მიერ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებამდე საქართველოს ფარგლების გარეთ ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული;

გ) მას ბრალი მიუძღვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

## მუხლი 19. ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საფუძვლები

1. ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის ამ კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ არსებობს რეალური რისკი, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას იგი ამ კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე დადგება.

2. ჰუმანიტარული სტატუსი უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს 1 წლის ვადით ენიჭება. ის შეიძლება გახანგრძლივდეს სამინისტროს გადაწყვეტილებით, იმავე ვადით, არაერთგზის, თუ კვლავ არსებობს გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც პირს ეს სტატუსი მიენიჭა.

## მუხლი 20. ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები

უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს არ მიენიჭება ჰუმანიტარული სტატუსი, თუ:

ა) იგი ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს;

ბ) მის მიმართ არსებობს ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული გარემოება;

გ) მის მიმართ არსებობს ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოება.

## მუხლი 21. დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების საფუძვლები და პროცედურა

1. სამინისტრო არეგისტრირებს მასობრივად შემოსულ პირებს და იღებს გადაწყვეტილებას, მიანიჭოს დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი მასობრივად შემოსულ პირებს, რომლებიც საერთაშორისო დაცვას საჭიროებენ და არ შეუძლიათ საკუთარ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება განურჩეველი ძალადობის, აგრესიის, საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭების მიზნით გამოიცემა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

3. დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი პირს 1 წლის ვადით ენიჭება. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში ეს სტატუსი შეიძლება გახანგრძლივდეს სამინისტროს გადაწყვეტილებით, იმავე ვადით, არაერთგზის, თუ კვლავ არსებობს გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც პირს აღნიშნული სტატუსი მიენიჭა.

4. მასობრივად შემოსულ პირთა რეგისტრაციის შემდეგ უფლებამოსილი თანამდებობის პირი გადასცემს მათ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს მათთვის დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებას და საქართველოს ტერიტორიაზე მათ კანონიერ ყოფნას.

5. დროებითი დაცვის ქვეშ მყოფ პირს უფლება აქვს, მიმართოს სამინისტროს მხოლოდ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით ამ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

6. უცხოელისათვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისათვის დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ სამინისტროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ ან სამინისტროს გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების შემთხვევაში დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი ვალდებულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით დატოვოს საქართველო, თუ საქართველოში მისი ყოფნის სხვა სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

## მუხლი 22. დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები

პირს არ მიენიჭება დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი, თუ:

ა) იგი ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობებს;

ბ) არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას, საზოგადოებრივ წესრიგს;

გ) მის მიმართ არსებობს ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით, მე-2 პუნქტით ან მე-18 მუხლით გათვალისწინებული გარემოება.

## თავი IV

## საქართველოში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა

### მუხლი 23. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა

1. უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს, მოითხოვოს საერთაშორისო დაცვა როგორც საქართველოში შემოსვლისას საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, ისე საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას.

2. საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლის ან ყოფნის შემთხვევაში უცხოელმა ან მოქალაქეობის არმქონე პირმა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს სახელმწიფო უწყებას. ასეთ შემთხვევაში იგი, ამ კანონის მე-7 მუხლის გათვალისწინებით, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

3. სახელმწიფო უწყებამ უნდა უზრუნველყოს იმ ინფორმაციის უცხოელისათვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისათვის გასაგებ ენაზე თარგმნა, რომელიც საჭიროა თავშესაფრის პროცედურის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. თავშესაფრის პროცედურა რეგულირდება მინისტრის ნორმატიული აქტით.

4. სახელმწიფო უწყება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის მიღებისთანავე ადგენს ოქმს. ამ ოქმის დედანი 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება სამინისტროს, ხოლო ასლი გადაეცემა უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო უწყება ადგენს ოქმს და უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ამისამართებს სამინისტროში.

6. (ამოღებულია - 18.04.2024, №4138).

*საქართველოს 2024 წლის 18 აპრილის კანონი №4138 - ვებგვერდი, 02.05.2024წ.*

### მუხლი 24. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა სამინისტროში, საქართველოს პროკურატურაში ან პენიტენციურ დაწესებულებაში

1. უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც დაკავებულია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამო, ან საქართველოდან გაძევების მიზნით, ანდა ექსტრადიციის მოთხოვნის საფუძველზე, უფლება აქვს, საერთაშორისო დაცვა მოითხოვოს პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, სამინისტროში, საქართველოს პროკურატურაში ან პენიტენციურ დაწესებულებაში.

2. უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, მოითხოვოს საერთაშორისო დაცვა და ამის შესახებ თავის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე აცნობოს სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, პენიტენციური დაწესებულების ან სხვა საპატიმრო დაწესებულების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო უწყებების უფლებამოსილი თანამდებობის პირები უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს აწვდიან საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობისა და თავშესაფრის პროცედურის შესახებ ინფორმაციას.

4. საექსტრადიციო პროცედურების ჩატარებისას ან საქართველოდან გაძევების საკითხის განხილვისას უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით მიმართოს ამ მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო უწყებებს, ამ უწყებათა უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით, მისთვის გასაგებ ენაზე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. უცხოელისაგან ან მოქალაქეობის არმქონე პირისაგან დამოუკიდებელი გარემოებების არსებობისას, რომლებიც ხელს უშლის საერთაშორისო დაცვის ამ

პუნქტით დადგენილ ვადაში მოთხოვნაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს ამ გარემოებების არსებობის ვადისა. საექსტრადიციო პროცედურების ჩატარებისას ან საქართველოდან გაძევების საკითხის განხილვისას ამ მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო უწყებათა უფლებამოსილი თანამდებობის პირები უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით, მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ აწვდიან საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციას.

5. საქართველოს პროკურატურის ან პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს სამინისტროს ინფორმირება იმ უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის შესახებ, რომელმაც მოითხოვა საერთაშორისო დაცვა, და სამინისტროს არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა უნდა გადაუგზავნოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადება.

*საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №961 - ვებგვერდი, 20.06.2017წ.*
*საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3099 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.*

## მუხლი 25. სპეციფიკური საჭიროების მქონე პირის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის წარდგენა

1. ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელმა სახელმწიფო უწყებებმა სპეციფიკური საჭიროების მქონე პირის მიერ მათთვის წარდგენილი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა დაუყოვნებლივ უნდა გადაუგზავნონ სამინისტროს.

2. სამინისტრომ სპეციფიკური საჭიროების მქონე პირის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს მისი ტრანსპორტირება და მიმღებ ცენტრში განთავსება. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის განსახლება უნდა განხორციელდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.

3. სამინისტრომ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინფორმირება, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში – ასეთი ორგანოს ინფორმირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შესახებ. აღნიშნული ორგანო საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის დანიშვნას.

4. თუ საერთაშორისო დაცვა მოითხოვა კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილმა არასრულწლოვანმა ან იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, იგი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ შესაბამისი ოქმის შედგენის საფუძველზე დაუყოვნებლივ რეგისტრირდება თავშესაფრის მაძიებლად. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის დანიშვნის შემდეგ. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადის ათვლა დაიწყება საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციის დღიდან.

5. სამინისტრომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით უნდა უზრუნველყოს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ოჯახის წევრების უმოკლეს ვადაში მოძიება ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში.

## მუხლი 25[1]. თავშესაფრის მაძიებლის მიმღებ ცენტრში განთავსების მოთხოვნის უფლება

1. სამინისტროს მიერ საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის პერიოდში თავშესაფრის მაძიებელს აქვს მიმღებ ცენტრში განთავსების მოთხოვნის უფლება. ამ მოთხოვნას სამინისტრო აღნიშნული პირის მიმართვის საფუძველზე განიხილავს.

2. მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება:

ა) თავშესაფრის მაძიებლის მიმღებ ცენტრში ან სხვა ადგილას დროებით განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები;

ბ) თავშესაფრის მაძიებლისთვის/მიმღებ ცენტრში განთავსებული პირისთვის მიმღებ ცენტრში განთავსების უფლების შეწყვეტის საფუძვლები და წესი;

გ) მიმღებ ცენტრში განთავსებული პირის მიერ მიმღები ცენტრის დატოვების (მათ შორის, იძულებით) და მის მფლობელობაში არსებული ნივთების განკარგვის საფუძვლები და წესი.

3. თავშესაფრის მაძიებელი/მიმღებ ცენტრში განთავსებული პირი მისთვის მიმღებ ცენტრში განთავსების უფლების შეწყვეტის საფუძვლის არსებობისას ვალდებულია მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში დატოვოს მიმღები ცენტრი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმღებ ცენტრში განთავსებული პირის მიერ მიმღები ცენტრის დატოვება ხორციელდება იძულების ღონისძიებების გამოყენებით, მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სააღსრულებო წარმოების გარეშე.

5. თავშესაფრის მაძიებლისთვის/მიმღებ ცენტრში განთავსებული პირისთვის მიმღებ ცენტრში განთავსების უფლების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

*საქართველოს 2024 წლის 18 აპრილის კანონი №4138 - ვებგვერდი, 02.05.2024წ.*

## თავი V

## საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის პროცედურა

### მუხლი 26. ძირითადი პროცედურული სტანდარტები

1. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა ინდივიდუალურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად უნდა შეისწავლონ.

2. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება განიხილება ჩვეულებრივი ან დაჩქარებული წესით.

3. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება დაჩქარებული წესით განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) იგი აშკარად დაუსაბუთებელია;

ბ) განმცხადებელი ყალბი ინფორმაციის საფუძველზე სამინისტროს შეცდომაში შეყვანით ბოროტად იყენებს თავშესაფრის პროცედურას.

4. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება აშკარად დაუსაბუთებლად მიიჩნევა, თუ:

ა) მასში მოცემული ინფორმაცია არ უკავშირდება ამ კანონის მე-15 და მე-19 მუხლებით გათვალისწინებულ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საფუძვლებს;

ბ) თავშესაფრის მაძიებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის შეუსაბამო, წინააღმდეგობრივი ან არარეალური სავარაუდო დევნის არსებობის დასადგენად;

გ) თავშესაფრის მაძიებელი მალავს საკუთარ ვინაობას ან/და მისი წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას;

დ) თავშესაფრის მაძიებელი უარს აცხადებს სამინისტროსთან თანამშრომლობაზე ან მისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაზე.

5. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საფუძვლები შეისწავლება ერთიანი პროცედურით, თანამიმდევრულად, ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საფუძვლების შესწავლა-შეფასებით. თუ თავშესაფრის მაძიებელი არ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის განსაზღვრულ პირობებს, პროცედურა გრძელდება ამ კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების

საფუძვლების შესწავლა-შეფასებით.

**მუხლი 27. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაცია, თავშესაფრის მაძიებლის ცნობის გაცემა და ანკეტირება**

1. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება უნდა მომზადდეს წერილობით, საჭიროების შემთხვევაში – სათანადო თარჯიმნის დახმარებით. სამინისტროსთვის წარდგენილი საერთაშორისო დაცვაზე განცხადება დაუყოვნებლივ რეგისტრირდება და გაიცემა თავშესაფრის მაძიებლის ცნობა. საერთაშორისო დაცვაზე განცხადებაში შეიტანება აგრეთვე მონაცემები პირის არასრულწლოვან ოჯახის წევრთა შესახებ. თავშესაფრის მაძიებლის ცნობის ფორმა, მისი გაცემისა და შეცვლის წესი განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით.

2. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ან იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენისათვის პასუხისმგებელია მისი მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი, რომელიც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს.

3. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ან იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებლის ცნობა მის მეურვეზე/მზრუნველზე/მხარდამჭერზე გაიცემა.

4. ანკეტის შესავსებად გასაუბრება ტარდება პირის ყველა სრულწლოვან ოჯახის წევრთან ინდივიდუალურად, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენის დღეს თავშესაფრის მაძიებელს წერილობით, მისთვის გასაგებ ენაზე ეცნობება ანკეტირების ჩატარების თარიღი.

5. ანკეტირების მასალების სიზუსტის უზრუნველსაყოფად ანკეტირება ტარდება წერილობით და ხმის ჩამწერი მოწყობილობის გამოყენებით. ანკეტირების აუდიოჩანაწერი თავშესაფრის მაძიებლის პირად საქმეში ინახება. ამ პუნქტის საფუძველზე მიღებული პერსონალური მონაცემები დაცული უნდა იქნეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

6. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციისას თავშესაფრის მაძიებელს უნდა განემარტოს მისთვის ამ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები და თავშესაფრის პროცედურა. თავშესაფრის მაძიებელი ვალდებულია სამინისტროს აცნობოს საცხოვრებელი ადგილის მისამართი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია, აგრეთვე მიაწოდოს მას შესაბამისი ინფორმაცია მათი შეცვლის შემთხვევაში. ამასთანავე, თავშესაფრის მაძიებელს უნდა განემარტოს, რომ არასაპატიო მიზეზით, შეტყობინების უგულებელყოფით ანკეტირებაზე ან გასაუბრებაზე ორჯერ გამოუცხადებლობის შემთხვევაში მისი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა შეწყდება.

7. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციის შემდეგ სამინისტრო იღებს 14 წელს გადაცილებული თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდებს. მიღებული მონაცემები თავშესაფრის მაძიებლის პირად საქმეში ინახება და მათი დამუშავება შესაძლებელია თავშესაფრის მაძიებლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდების აღება და ამ პერსონალური მონაცემების დამუშავება რეგულირდება მინისტრის სამართლებრივი აქტით.

8. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაცია თავშესაფრის მაძიებლისათვის წარმოშობს ამ კანონის 56-ე და 57-ე მუხლებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

9. თავშესაფრის მაძიებლისთვის ანკეტირების ჩატარების შემდეგ საერთაშორისო დაცვაზე განცხადება განიხილება ჩვეულებრივი წესით ან დაჩქარებული წესით, ამ კანონის 26-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებიდან გამომდინარე.

10. ამ კანონის 29-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილ ვადაში დაჩქარებული წესით საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვისას გამოყენებული უნდა იქნეს ჩვეულებრივი წესით საერთაშორისო

დაცვაზე განცხადების განხილვისათვის დადგენილი ყველა მოთხოვნა და პროცედურა.

11. თუ საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვისას გამოიკვეთა დამატებითი გარემოებები, რომელთა გამოც საქმე დამატებით შესწავლას საჭიროებს, და განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ვერ ხერხდება დაჩქარებული წესით საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვისათვის ამ კანონის 29-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილ ვადაში, საერთაშორისო დაცვაზე განცხადება განხილული უნდა იქნეს ჩვეულებრივი წესით საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვისათვის ამ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში.

## მუხლი 28. მტკიცების ტვირთი

1. თავშესაფრის მაძიებელმა უნდა წარადგინოს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის დასაბუთებისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია (მათ შორის, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია) და მტკიცებულება და მათი შეფასების პროცესში უნდა ითანამშრომლოს უფლებამოსილ თანამდებობის პირთან. თავშესაფრის მაძიებელი აგრეთვე ვალდებულია სარწმუნოდ განმარტოს ინფორმაციისა და მტკიცებულების წარუდგენლობის ან არარსებობის მიზეზი.

2. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული ფაქტების დადგენის ვალდებულება თანაბრად ნაწილდება თავშესაფრის მაძიებელსა და უფლებამოსილ თანამდებობის პირს შორის. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული ყველა არსებითი ფაქტობრივი გარემოება და წარმოდგენილი მტკიცებულებები ინდივიდუალურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად უნდა შეაფასოს.

3. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებით შესაბამისი შეკითხვების დასმით უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა ხელი უნდა შეუწყოს თავშესაფრის მაძიებელს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული არსებითი ინფორმაციის (მათ შორის, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის) და მტკიცებულებების სრულყოფილად წარდგენაში.

## მუხლი 29. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადები

1. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა საერთაშორისო დაცვაზე განცხადება ჩვეულებრივი წესით უნდა განიხილოს მისი რეგისტრაციიდან 6 თვის ვადაში. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 9 თვით, თუ:

ა) გამოვლინდა რთული ფაქტობრივი და იურიდიული საკითხები;

ბ) საერთაშორისო დაცვაზე განცხადება სამინისტროს ერთდროულად მრავალმა უცხოელმა ან/და მოქალაქეობის არმქონე პირმა წარუდგინა, რაც ართულებს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების 6 თვის ვადაში განხილვას.

2. შესაბამისი დასაბუთების არსებობისას, გამონაკლისის სახით, საჭიროების შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვით, რათა საერთაშორისო დაცვაზე განცხადება ადეკვატურად და სრულყოფილად იქნეს განხილული.

3. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა შეიძლება გადავადდეს, თუ საერთაშორისო დაცვაზე განცხადების ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილ ვადებში განხილვა შეუძლებელია წარმოშობის ქვეყანაში დროებით გაურკვეველი მდგომარეობის არსებობის გამო. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებულია:

ა) 6 თვეში ერთხელ შეისწავლოს წარმოშობის ქვეყანაში არსებული მდგომარეობა;

ბ) საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის გადავადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში თავშესაფრის მაძიებელს ამ კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით აცნობოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის გადავადების მიზეზი.

4. ამ მუხლის პირველი–მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენიდან 21 თვეს.

5. თუ საერთაშორისო დაცვაზე განცხადების ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ 6 თვის ვადაში განხილვა შეუძლებელია, უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებულია საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში თავშესაფრის მაძიებელს ამ კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით აცნობოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, აგრეთვე გაგრძელების მიზეზი და ვადა, რომლითაც გაგრძელდა განხილვა.

6. გაძევების პროცედურაში მყოფი პირის მიერ წარდგენილი საერთაშორისო დაცვაზე განცხადება განხილული უნდა იქნეს მისი რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

7. ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებული პირის მიერ წარდგენილი საერთაშორისო დაცვაზე განცხადება სამინისტრომ უნდა განიხილოს საექსტრადიციო დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

8. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება დაჩქარებული წესით განიხილება მისი რეგისტრაციიდან 1 თვის ვადაში.

### მუხლი 30. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა

1. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა თითოეული საერთაშორისო დაცვაზე განცხადება ინდივიდუალურად უნდა განიხილოს და უნდა შეაფასოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შესაბამისი ელემენტები, მათ შორის, თავშესაფრის მაძიებლის ხელთ არსებული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება პირის ასაკსა და წარმომავლობას, აგრეთვე მისი ოჯახის წევრებთან, მის იდენტობასთან, მოქალაქეობასთან (მოქალაქეობებთან), წარმოშობის ქვეყანასთან (ქვეყნებთან), ადგილთან (ადგილებთან), საერთაშორისო დაცვაზე განცხადებასთან, წარმოშობის ქვეყნის დატოვების და საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის მიზეზებთან და გარემოებებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

2. ამ კანონის მე-15 და მე-19 მუხლებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის აშკარა დასაბუთების შემთხვევაში საერთაშორისო დაცვაზე განცხადება პრიორიტეტულად განიხილება.

### მუხლი 31. დევნის საფუძვლიანი შიშის ან სერიოზული ზიანის მიყენების შესაძლებლობის შეფასება

დევნის საფუძვლიანი შიშის ან სერიოზული ზიანის მიყენების შესაძლებლობის შეფასებისას უფლებამოსილი თანამდებობის პირი უნდა დაეყრდნოს იმ გარემოებებს, რომლებიც თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანაში წარმოიქმნა უშუალოდ თავშესაფრის მაძიებლის მიერ ამ ქვეყნის დატოვებამდე ან მისი დატოვების შემდეგ.

### მუხლი 32. დევნა და სერიოზული ზიანი

1. ამ კანონის მე-15 მუხლის მიზნებისთვის ქმედება დევნად მიიჩნევა, თუ:

ა) იგი თავისი ბუნებით ან განმეორებადობით იმდენად სერიოზულია, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების სერიოზული დარღვევაა;

ბ) იგი არის სხვადასხვა ქმედების ერთობლიობა, რომელიც იმდენად მწვავეა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების სერიოზული დარღვევაა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დევნა შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმებით:

ა) ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის, აქტი;

ბ) სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან/და სასამართლო აქტები და ღონისძიებები, რომლებიც

თავად არის დისკრიმინაციული ან დისკრიმინაციული ფორმით ხორციელდება;

გ) სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელი, რომელიც არაპროპორციულია ან დისკრიმინაციულია;

დ) დარღვეული უფლების აღდგენაზე სასამართლოს მიერ უარის თქმა, რასაც შედეგად არაპროპორციული ან დისკრიმინაციული სასჯელი მოჰყვება;

ე) სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელი კონფლიქტის დროს ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებაზე უარის თქმის გამო;

ვ) ქმედება, რომელიც თავისი ბუნებით გენდერულ იდენტობას, სქესს ან არასრულწლოვანს უკავშირდება.

3. სერიოზული ზიანია:

ა) პირის მიმართ სასიკვდილო განაჩენი ან მისი სიკვდილით დასჯის საფრთხე;

ბ) წარმოშობის ქვეყანაში პირის წამება, მის მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა ან სასჯელი;

გ) პირის სიცოცხლისთვის სერიოზული ინდივიდუალური საფრთხე განურჩეველი ძალადობის, საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

## მუხლი 33. დევნის განმახორციელებელი და სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტი (სუბიექტები)

დევნის განმახორციელებელი და სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტი (სუბიექტები) შეიძლება იყოს (იყვნენ):

ა) სახელმწიფო;

ბ) დაჯგუფება ან ორგანიზაცია, რომელიც აკონტროლებს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიას ან მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს;

გ) არასახელმწიფო სუბიექტი (სუბიექტები), თუ ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სუბიექტებს, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებს, არ შეუძლიათ ან არ სურთ ამ კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან პირის დაცვა.

## მუხლი 34. დაცვის განმახორციელებელი სუბიექტი (სუბიექტები)

1. პირი დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან შეიძლება დაიცვას:

ა) სახელმწიფომ; ამასთანავე, მას უნდა სურდეს და შეეძლოს დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან პირის ეფექტიანი და ხანგრძლივი დაცვა;

ბ) დაჯგუფებამ ან ორგანიზაციამ, რომელიც აკონტროლებს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიას ან მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს; ამასთანავე, მას უნდა სურდეს და შეეძლოს დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან პირის ეფექტიანი და ხანგრძლივი დაცვა.

2. დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან დაცვა ეფექტიანია, თუ დაცვის განმახორციელებელი სუბიექტი (სუბიექტები) დევნის ან სერიოზული ზიანის თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის ახორციელებს (ახორციელებენ) სათანადო მოქმედებებს, რომლებზედაც თავშესაფრის მაძიებელს ხელი მიუწვდება.

## მუხლი 35. თავშესაფრის მაძიებელთან გასაუბრება

1. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებით თავშესაფრის მაძიებელთან ტარდება გასაუბრება.

2. გასაუბრების მიზანია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული არსებითი გარემოებების დადგენა, რომლებიც მოიცავს თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარმოშობის ქვეყნის დატოვების და დაუბრუნებლობის მიზეზების შესახებ ინფორმაციას, აგრეთვე სხვა ინფორმაციას, რომლითაც შეიძლება დადგინდეს პირზე საერთაშორისო დაცვის გავრცელების საჭიროება.

3. თავშესაფრის მაძიებელთან მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე ურთიერთობისათვის გასაუბრების პროცესი უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურებით.

4. უფლებამოსილი თანამდებობის პირი გასაუბრებას ატარებს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციიდან 4 თვის ვადაში, ხოლო ამ კანონის 29-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

5. თავშესაფრის მაძიებელს გასაუბრების დროის შესახებ ეცნობება 3 სამუშაო დღით ადრე, ამ ინფორმაციის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებით. მას გასაუბრების დროის შესახებ შეიძლება დამატებით ეცნობოს ტელეფონით ან/და ელექტრონული ფოსტით. თუ უფლებამოსილი თანამდებობის პირი თავშესაფრის მაძიებელს გასაუბრების დროის შესახებ ტელეფონით ან/და ელექტრონული ფოსტით აცნობებს, უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა შეადგინოს შესაბამისი კომუნიკაციის ოქმი. ამ ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენი, ხოლო აღნიშნული კომუნიკაციის თარჯიმნის მეშვეობით განხორციელების შემთხვევაში – აგრეთვე თარჯიმანი. ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსების წესს ადგენს მინისტრი.

6. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადაში თავშესაფრის მაძიებლის გამოუცხადებლობის ან მისი ადგილსამყოფლის დაუდგენლობის გამო შეწყვეტილი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა განახლდება, თუ თავშესაფრის მაძიებელი დაუკავშირდება სამინისტროს ან გამოცხადდება სამინისტროში და წარადგენს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ ინფორმაციას.

7. თავშესაფრის მაძიებელთან გასაუბრებისას საჭიროების შემთხვევაში მასზე დასწრების უფლება აქვს მის კანონიერ წარმომადგენელს/მეურვეს/მზრუნველს/მხარდამჭერს, ხოლო თუ თავშესაფრის მაძიებელი პენიტენციურ დაწესებულებაში ან სხვა საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფება – მის ადვოკატს.

8. შესაძლებლობის შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებელს გასაუბრება უნდა ჩაუტაროს იმავე სქესის უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა და იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმავე სქესის თარჯიმნის მომსახურებით, თუ თავშესაფრის მაძიებელმა განსხვავებული სქესის უფლებამოსილ თანამდებობის პირთან გასაუბრება ან თარჯიმნის მომსახურება არ მოითხოვა.

9. ამ კანონის 29-ე მუხლით დადგენილ საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადებში თავშესაფრის მაძიებელს შესაძლებლობა უნდა მიეცეს, განმარტოს ის გარემოებები, რომლებიც შესაძლოა ამ განცხადებას აკლდეს ან/და შეუსაბამო/წინააღმდეგობრივი იყოს, აგრეთვე მის მიერ მიწოდებულ ფაქტებსა და სხვა წყაროებიდან მიღებულ შესაბამის ინფორმაციას (მათ შორის, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას) შორის შეუსაბამობა/წინააღმდეგობა.

10. გასაუბრების მასალების სიზუსტის უზრუნველსაყოფად გასაუბრება ფიქსირდება წერილობით და ხმის ჩამწერი მოწყობილობის გამოყენებით. გასაუბრების აუდიოჩანაწერი თავშესაფრის მაძიებლის პირად საქმეში ინახება. ამ პუნქტის საფუძველზე მიღებული პერსონალური მონაცემები დაცული უნდა იქნეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

*საქართველოს 2022 წლის 11 მაისის კანონი №1567 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.*

## მუხლი 36. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შეფასება

1. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შეფასებისას უნდა

გაითვალისწინოს:

ა) ყველა სათანადო ფაქტი, რომლებიც დაკავშირებულია წარმოშობის ქვეყანასთან, მათ შორის, წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობა და სხვა რეგულაციები, აგრეთვე არსებული პრაქტიკა;

ბ) თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო დაცვაზე განცხადება და დოკუმენტაცია, მათ შორის, იმის შესახებ ინფორმაცია, რომ თავშესაფრის მაძიებელი იდევნება ან შესაძლებელია გახდეს დევნის მსხვერპლი და რომ მას მიადგა ან შეიძლება მიადგეს სერიოზული ზიანი;

გ) თავშესაფრის მაძიებლის პირადი მონაცემები;

დ) თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში დევნის ან სერიოზული ზიანის დადგომის შესაძლებლობა;

ე) განმცხადებლის მიერ იმ ქვეყნის დაცვით სარგებლობის შესაძლებლობა, რომელიც მისი წარმოშობის ქვეყანა არ არის და რომლის მოქალაქეც არის თავშესაფრის მაძიებელი.

2. ფაქტი, რომ თავშესაფრის მაძიებელი გახდა დევნის მსხვერპლი, ან მას მიადგა სერიოზული ზიანი, ან მას უშუალოდ დაემუქრნენ დევნით ან სერიოზული ზიანის მიყენებით, აჩენს საკმარის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ იგი შეიძლება დადგეს დევნის ან სერიოზული ზიანის მიყენების რეალური საფრთხის წინაშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ასეთი დევნა ან სერიოზული ზიანი აღარ განმეორდება.

**მუხლი 37. შესაბამისი ინფორმაციის და არსებითი მტკიცებულების შეგროვება და შესწავლა**

1. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა ყველა ზომა უნდა მიიღოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის და ხელმისაწვდომი არსებითი მტკიცებულების შესაგროვებლად.

2. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა გაანალიზდეს და შეფასდეს როგორც უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მოპოვებული ზეპირი ინფორმაცია ან დოკუმენტური მტკიცებულება, ისე თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარდგენილი ზეპირი ინფორმაცია ან დოკუმენტური მტკიცებულება.

3. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა გააანალიზოს და შეაფასოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ.

4. საერთაშორისო დაცვის თაობაზე გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ თავშესაფრის მაძიებლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის მოთხოვნის შემთხვევაში უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცეს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვასთან დაკავშირებით მოპოვებული ინფორმაცია და დოკუმენტები.

**მუხლი 38. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის მიერ წარდგენილი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა**

1. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის მიერ წარდგენილი საერთაშორისო დაცვაზე განცხადება განხილული უნდა იქნეს ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.

2. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანთან გასაუბრება ტარდება მისი კანონიერი წარმომადგენლის/მეურვის/ მზრუნველის/მხარდამჭერის თანდასწრებით, ხოლო თუ კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანი პენიტენციურ დაწესებულებაში ან სხვა საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფება – მისი ადვოკატის თანდასწრებით. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანთან გასაუბრებას ატარებს ის უფლებამოსილი თანამდებობის პირი, რომელსაც არასრულწლოვანთან გასაუბრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და

კვალიფიკაცია აქვს.

3. თავშესაფრის პროცედურის განხორციელებისას უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა გაითვალისწინოს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ასაკი და უნარები (მათ შორის, განვითარების დონე, აღქმისა და კომუნიკაციის უნარები).

**მუხლი 39. წამების ან არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან ძალადობის მსხვერპლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა**

1. თავშესაფრის მაძიებელს, რომელიც აცხადებს, რომ არის წამების ან არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან ძალადობის მსხვერპლი, ან რომელსაც ასეთი ნიშნები აქვს, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვამდე ხელი უნდა მიუწვდებოდეს შესაბამის სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური საჭიროების მქონე პირის საერთაშორისო დაცვაზე განცხადება პრიორიტეტულად უნდა იქნეს განხილული.

**მუხლი 40. ფსიქიკური ან გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების მქონე თავშესაფრის მაძიებლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა**

1. თავშესაფრის მაძიებლის ფსიქიკურ ან გონებრივ/ინტელექტუალურ დარღვევებთან დაკავშირებით საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას საჭიროების შემთხვევაში სამინისტრომ დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, ექსპერტიზის ჩატარებისა და მხარდამჭერის დანიშვნის მიზნით.

2. ფსიქიკური ან გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების მქონე თავშესაფრის მაძიებლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა უნდა შეჩერდეს მისთვის მხარდამჭერის დანიშვნამდე. ამ პერიოდში თავშესაფრის მაძიებელი სარგებლობს თავშესაფრის მაძიებლისთვის ამ კანონით გათვალისწინებული უფლებებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის ანკეტირება და მასთან გასაუბრება უნდა ჩაატაროს უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათში უნდა მონაწილეობდეს აგრეთვე შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

4. გასაუბრება შესაძლებელია არ ჩატარდეს, თუ თავშესაფრის მაძიებელს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ შეუძლია ადეკვატური ინფორმაციის მიწოდება. ამ შემთხვევაში საერთაშორისო დაცვის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით მოპოვებული სხვა ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე.

**მუხლი 41. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობა**

1. თავშესაფრის მაძიებლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის წერილობითი მიმართვის საფუძველზე საერთაშორისო დაცვის მინიჭების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შესაძლებელია საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობა.

2. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა თავშესაფრის მაძიებელს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა აცნობოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის სამართლებრივი შედეგები, რის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი. ამ ოქმს ხელს აწერენ სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირი და თავშესაფრის მაძიებელი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი/მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი.

3. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის საფუძველზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი იღებს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას თავშესაფრის მაძიებლის მიერ შესაბამისი ოქმის ხელმოწერიდან მე-7 სამუშაო დღეს. ეს

გადაწყვეტილება თავშესაფრის მაძიებელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს/მეურვეს/მზრუნველს/მხარდამჭერს წერილობით (ქართულ ენაზე და მისთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი) ეგზავნება 3 სამუშაო დღის ვადაში, გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის მითითებით.

4. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის საფუძველზე საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ თავშესაფრის მაძიებელი ვალდებულია სამინისტროს ჩააბაროს დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დატოვოს საქართველო, თუ საქართველოში მისი ყოფნის სხვა სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

5. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის შემდეგ თავშესაფრის მაძიებელს უფლება აქვს, სამინისტროს განმეორებით მიმართოს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის საქმესთან დაკავშირებით ახალი გარემოებები არსებობს და ეს მისთვის საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის შემდეგ გახდა ცნობილი. სამინისტრომ იგი უნდა უზრუნველყოს სამართლიანი და ეფექტიანი თავშესაფრის პროცედურით. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით განმეორებით მიმართვის შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებელმა უნდა მიუთითოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობისა და განმეორებით მიმართვის სათანადო მიზეზები.

**მუხლი 42. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეჩერება, შეწყვეტა და განახლება**

1. უფლებამოსილი თანამდებობის პირი აჩერებს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვას, თუ ვერ ხერხდება ამ კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით თავშესაფრის მაძიებელთან დაკავშირება და მას არ გადაუკვეთავს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. ამ შემთხვევაში საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა 6 თვით შეჩერდება.

2. უფლებამოსილი თანამდებობის პირი იღებს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, თუ თავშესაფრის მაძიებელი:

ა) ამ კანონის 41-ე მუხლის შესაბამისად გამოიხმობს საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას;

ბ) სამინისტროსთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებს;

გ) არასაპატიო მიზეზით, შეტყობინების უგულებელყოფით ანკეტირებაზე ან გასაუბრებაზე ორჯერ არ გამოცხადდება;

დ) საქართველოს დატოვებს, საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლის და ამის შესახებ სამინისტროს 3 თვის ვადაში არ აცნობებს;

ე) თითის ანაბეჭდების აღებაზე უარს განაცხადებს;

ვ) გარდაიცვლება;

ზ) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი ვადის გასვლამდე არ გამოცხადდება სამინისტროში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ფსიქიკური აშლილობის მქონე თავშესაფრის მაძიებლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა არ შეწყდება.

4. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეჩერების ან შეწყვეტის შემდეგ სამინისტროში გამოცხადებულ თავშესაფრის მაძიებელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განმარტოს გამოუცხადებლობის მიზეზი, ხოლო საპატიო მიზეზის მითითების შემთხვევაში მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განახლდეს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა.

**მუხლი 43. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება**

1. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა წერილობით უნდა დაასაბუთოს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები.

2. თავშესაფრის მაძიებელს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება (ქართულ ენაზე და მისთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი) ეგზავნება/გადაეცემა 3 სამუშაო დღის ვადაში, გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობის თაობაზე ინფორმაციის მითითებით.

3. (ამოღებულია - 11.05.2022, №1567).

4. თუ ოჯახის წევრთა საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას ერთი და იგივე საფუძველი აქვს, საერთაშორისო დაცვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება განმცხადებლის ოჯახის წევრებზედაც ვრცელდება.

5. თავშესაფრის მაძიებლისათვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება საქმის არსებით ფაქტობრივ გარემოებებს და შესაბამის მტკიცებულებებს უნდა ეფუძნებოდეს.

6. თუ თავშესაფრის მაძიებელს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვა, ან პირს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი შეუწყდა, გაუუქმდა ან ჩამოერთვა, ამასთანავე, შეუძლებელია მისი გაძევება წარმოშობის ქვეყანაში, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად, მას შეიძლება მიეცეს საქართველოში დროებითი ყოფნის უფლება.

7. (ამოღებულია - 05.07.2018, №3099).

8. თავშესაფრის მაძიებლისათვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ სამინისტროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ ან ამ გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების შემთხვევაში ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი ვალდებულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით დატოვოს საქართველო, თუ საქართველოში მისი ყოფნის სხვა სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

*საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3099 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.*
*საქართველოს 2022 წლის 11 მაისის კანონი №1567 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.*

## მუხლი 44. ჰუმანიტარული სტატუსის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება

უფლებამოსილი თანამდებობის პირი ჰუმანიტარული სტატუსის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქმის შესაბამის მასალებზე დაყრდნობით, გადაწყვეტილების მიღების მომენტში არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

## მუხლი 45. განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადება და პროცედურული გარანტიები

1. თუ უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი შეუწყდა, გაუუქმდა ან ჩამოერთვა, ან მას უარი ეთქვა ჰუმანიტარული სტატუსის გაგრძელებაზე, ანდა თავშესაფრის პროცედურა საქართველოში დასრულდა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, წარადგინოს განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადება, თუკი:

ა) ამ პირის წარმოშობის ქვეყანაში მოხდა ისეთი ცვლილებები, რომლებიც მისი საერთაშორისო დაცვის საჭიროებას წარმოშობს;

ბ) არსებობს ახალი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც წინა საერთაშორისო დაცვაზე განცხადებაში მითითებული გარემოებების შეფასებისას არ განხილულა და რომელთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობაც განმცხადებლის ბრალით არ მომხდარა.

2. უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებულია განახორციელოს განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წინასწარი გამოკვლევა, აგრეთვე შეისწავლოს და შეაფასოს ამ განცხადებაში მითითებული განმარტებები და ახალი გარემოებები, რათა წარმოშობის ქვეყანაში შესაბამისი პირის დაბრუნებით არ დაირღვეს არგაძევების პრინციპი და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლის არსებობის დადგენის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წინასწარი გამოკვლევის ფარგლებში უცხოელთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან ტარდება გასაუბრება. გასაუბრებაზე უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს აღნიშნული განცხადების წინასწარ გამოკვლევას და გადაწყვეტილების მიღებას.

3. თუ განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წინასწარი გამოკვლევით დადგინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, სამინისტრო განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, აღნიშნული განცხადების არსებითი განხილვის გარეშე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს თავშესაფრის პროცედურის დაწყებისა და განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების არსებით განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

4. განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში სამინისტრო განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა იღებს გადაწყვეტილებას თავშესაფრის პროცედურის დაწყებისა და განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების არსებითი განხილვის შესახებ, რის თაობაზედაც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამ შემთხვევაში დაიწყება თავშესაფრის პროცედურა და უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი ამ აქტის გამოცემის მომენტიდან მიიჩნევა თავშესაფრის მაძიებლად.

5. დაუშვებელია უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია ან საქართველოდან გაძევება მის მიერ განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების პირველად წარდგენის მომენტიდან ამ მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში (მათ შორის, ამ აქტის სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში) უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი თავშესაფრის მაძიებლად არ მიიჩნევა, მასზე არ ვრცელდება ამ კანონის მე-8 მუხლით დადგენილი არგაძევების პრინციპი და ამ აქტის გამოცემის მომენტიდან დასაშვებია აღნიშნული პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია ან საქართველოდან გაძევება. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირველივე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ უცხოელმა ან მოქალაქეობის არმქონე პირმა კვლავ წარადგინა განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადება, ეს პირი თავშესაფრის მაძიებლად არ მიიჩნევა, მასზე არ ვრცელდება ამ კანონის მე-8 მუხლით დადგენილი არგაძევების პრინციპი და ამ აქტის გამოცემის მომენტიდან დასაშვებია აღნიშნული პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია ან საქართველოდან გაძევება.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი არ სარგებლობს ამ კანონის 56-ე მუხლით დადგენილი უფლებებით, მათ შორის, 56-ე მუხლის „ე“ და „მ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სასამართლო დავის წარმოებისას უფასო იურიდიული დახმარების უფლებითა და სასამართლო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების უფლებით.

*საქართველოს 2022 წლის 11 მაისის კანონი №1567 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.*

## მუხლი 46. ოჯახის გაერთიანება

1. ოჯახის გაერთიანების პროცედურის დაწყებისთვის საერთაშორისო დაცვის მქონე პირმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სამინისტროს.

2. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნისათვის ამ კანონით დადგენილი

წესით საერთაშორისო დაცვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების შემდეგ უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა ამ არასრულწლოვნის მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის და არასრულწლოვნის თანხმობით დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ოჯახის გაერთიანების პროცედურა. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით უნდა უზრუნველყოს მისი გაერთიანება სხვა ოჯახის წევრებთან.

3. საერთაშორისო დაცვის მქონე პირმა ოჯახის გაერთიანების შესახებ განცხადებას უნდა დაურთოს ნათესაური კავშირის დამადასტურებელი ყველა შესაძლო მტკიცებულება მათი არსებობის შემთხვევაში.

4. ოჯახური კავშირის დასადგენად უფლებამოსილი თანამდებობის პირი ინდივიდუალურ საფუძველზე 1 თვის ვადაში განიხილავს ოჯახის გაერთიანების შესახებ განცხადებას და თანდართულ მტკიცებულებებს მათი არსებობის შემთხვევაში.

5. უფლებამოსილი თანამდებობის პირი აუცილებლობის შემთხვევაში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საშუალებით მოიძიებს საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის წევრებს.

6. ოჯახური კავშირის დადგენის შემთხვევაში უფლებამოსილი თანამდებობის პირი საჭიროებისამებრ მიმართავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის წევრების მოძიების და მათთვის საქართველოს ვიზის გაცემის თაობაზე.

7. ოჯახის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით, საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის წევრებს საერთაშორისო დაცვის იგივე ფორმა ენიჭებათ, რომელიც ამ პირს აქვს მინიჭებული.

8. საერთაშორისო დაცვის მქონე პირს შეიძლება უარი ეთქვას ოჯახის გაერთიანებაზე, თუ ოჯახის წევრის მიმართ არსებობს ამ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ან მე-18 მუხლით გათვალისწინებული გარემოება.

## მუხლი 47. გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. ამ კანონის საფუძველზე სამინისტროს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

2. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე თავშესაფრის მაძიებელი სარგებლობს ამ კანონით დადგენილი უფლებებითა და გარანტიებით, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. თავშესაფრის მაძიებლის მიერ სარჩელის/სააპელაციო საჩივრის გამოხმობის, აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრების ან/და საერთაშორისო დაცვის საკითხთან დაკავშირებით სასამართლოსათვის ხელახლა მიმართვის შემთხვევაში უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი თავშესაფრის მაძიებლად არ მიიჩნევა, მასზე არ ვრცელდება ამ კანონის მე-8 მუხლით დადგენილი არგაძევების პრინციპი და დასაშვებია აღნიშნული პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია ან საქართველოდან გაძევება.

*საქართველოს 2022 წლის 11 მაისის კანონი №1567 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.*

## მუხლი 48. დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიერ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენა

ამ კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესის გათვალისწინებით, დროებითი დაცვის ქვეშ მყოფ პირს უფლება აქვს, წარადგინოს ინდივიდუალური განცხადება მხოლოდ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მიზნით. ამ განცხადების განხილვის პერიოდში იგი სარგებლობს თავშესაფრის მაძიებლისთვის ამ კანონით გათვალისწინებული უფლებებით და ასრულებს ამავე კანონით განსაზღვრულ მოვალეობებს.

## მუხლი 49. დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის სამართლებრივი გარანტიები

დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანი:

ა) დაუყოვნებლივ უნდა იქნეს იდენტიფიცირებული და რეგისტრირებული და მას 10 სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა დაენიშნოს მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი;

ბ) უნდა განსახლდეს ამ კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, აგრეთვე მას უნდა გაეწიოს დახმარება მშობლებისა და ნათესავების მოსაძებნად.

### მუხლი 49[1]. უცხოელთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან კომუნიკაციის განხორციელებისა და მისთვის სამინისტროს გადაწყვეტილების ჩაბარების წესი

1. უცხოელთან/მოქალაქეობის არმქონე პირთან კომუნიკაცია ხორციელდება შესაბამისი შეტყობინების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებით. სამინისტროს მიერ ამ კანონის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ჩაბარებულად მიიჩნევა ამ გადაწყვეტილების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსების დღის მომდევნო დღიდან. აღნიშნული გადაწყვეტილების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსების შესახებ ინფორმაცია უცხოელს/მოქალაქეობის არმქონე პირს მისთვის გასაგებ ენაზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ეგზავნება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინებისა და გადაწყვეტილების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსების წესს ადგენს მინისტრი.

*საქართველოს 2022 წლის 11 მაისის კანონი №1567 – ვებგვერდი, 17.05.2022წ.*

## თავი VI

## ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის შეწყვეტა, გაუქმება ან ჩამორთმევა

### მუხლი 50. ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

1. პირს შეუწყდება ლტოლვილის სტატუსი, თუ:

ა) მან მოიპოვა საქართველოს მოქალაქეობა;

ბ) მან ნებაყოფლობით ისარგებლა თავისი წარმოშობის ქვეყნის დაცვით;

გ) მან მოქალაქეობის დაკარგვის შემდეგ ნებაყოფლობით კვლავ მოიპოვა თავისი წარმოშობის ქვეყნის მოქალაქეობა;

დ) მან მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და სარგებლობს ამ ქვეყნის მფარველობით;

ე) იგი ნებაყოფლობით დამკვიდრდა იმ ქვეყანაში, რომელიც დატოვა ან რომლის ფარგლების გარეთაც იმყოფებოდა დევნის შიშის გამო;

ვ) მას არ შეუძლია უარი თქვას თავისი წარმოშობის ქვეყნის მფარველობაზე, რადგანაც აღარ არსებობს გარემოებები, რომელთა გამოც მას მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი;

ზ) იგი მიმართავს სამინისტროს ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით;

თ) ვერ ხერხდება ამ კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით მასთან დაკავშირება, ამასთანავე, მან გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი;

ი) იგი გარდაიცვალა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება ლტოლვილის სტატუსის მქონე პირზე, თუ, ადრინდელი დევნის გათვალისწინებით, მას შეუძლია წარადგინოს წარმოშობის ქვეყნის მფარველობით სარგებლობაზე უარის თქმის დასაბუთებული მიზეზი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ლტოლვილის სტატუსი შეწყდება ბინადრობის მოწმობის ვადის გასვლიდან 1 წლის შემდეგ.

4. პირისათვის მინიჭებული ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა მასზე გაცემული ბინადრობის მოწმობისა და ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტის გაუქმების საფუძველია.

**მუხლი 51. ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები**

1. პირს შეუწყდება ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი, თუ:

ა) მან მოიპოვა საქართველოს მოქალაქეობა;

ბ) მან მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და სარგებლობს ამ ქვეყნის მფარველობით;

გ) იგი ნებაყოფლობით დამკვიდრდა იმ ქვეყანაში, რომელიც დატოვა ან რომლის ფარგლების გარეთაც იმყოფებოდა სერიოზული ზიანის გამო;

დ) მას არ შეუძლია უარი თქვას თავისი წარმოშობის ქვეყნის მფარველობაზე, რადგანაც აღარ არსებობს გარემოებები, რომელთა გამოც მას მიენიჭა ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი;

ე) მას მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი;

ვ) იგი მიმართავს სამინისტროს ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით;

ზ) ვერ ხერხდება ამ კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით მასთან დაკავშირება, ამასთანავე, მან გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი;

თ) იგი გარდაიცვალა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე, თუ, ადრინდელი დევნის გათვალისწინებით, მას შეუძლია წარადგინოს წარმოშობის ქვეყნის მფარველობით სარგებლობაზე უარის თქმის დასაბუთებული მიზეზი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი შეწყდება ბინადრობის მოწმობის ვადის გასვლიდან 6 თვის შემდეგ.

4. პირისათვის მინიჭებული ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის შეწყვეტა ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გაცემული ბინადრობის მოწმობისა და სამგზავრო პასპორტის და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფ პირზე გაცემული დროებითი ბინადრობის მოწმობის გაუქმების საფუძველია.

**მუხლი 52. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის გაუქმების ან ჩამორთმევის საფუძვლები**

1. საერთაშორისო დაცვის მქონე პირს მინიჭებული სტატუსი გაუუქმდება, თუ ცნობილი გახდა, რომ ის არ აკმაყოფილებდა ამ კანონის მე-15, მე-19 ან 21-ე მუხლის მოთხოვნებს, ან მან არასწორი ინფორმაცია და ყალბი დოკუმენტაცია წარმოადგინა, კერძოდ:

ა) პირმა არსებითი ფაქტობრივი გარემოებები არასწორად წარმოაჩინა ან დამალა;

ბ) გამოიკვეთა ახალი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს, რომ პირზე არ უნდა გავრცელებულიყო საერთაშორისო დაცვა;

გ) იგი სხვა ბინადრობის ქვეყნის უფლებამოსილი უწყების მიერ აღიარებული იყო ისეთი უფლება-მოვალეობების მქონედ, რომლებიც აქვთ ამ ქვეყნის მოქალაქეებს, და, შესაბამისად, არ საჭიროებდა საერთაშორისო დაცვას;

დ) იგი არ საჭიროებდა საერთაშორისო დაცვას, ან არსებობდა საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მან ჩაიდინა ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

2. საერთაშორისო დაცვის მქონე პირს მინიჭებული სტატუსი ჩამოერთმევა, თუ საერთაშორისო დაცვის მიღების შემდეგ იგი მსჯავრდებულ იქნა საქართველოში მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, ან არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას, საზოგადოებრივ წესრიგს.

3. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის გაუქმება ან ჩამორთმევა მასზე გაცემული ბინადრობის მოწმობისა და ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტის/სამგზავრო პასპორტის გაუქმების საფუძველია.

**მუხლი 53. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურა**

1. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურას იწყებს სამინისტრო.

2. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა საერთაშორისო დაცვის მქონე პირს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა შეატყობინოს მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურის დაწყების შესახებ.

3. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა უზრუნველყოს თითოეულ სრულწლოვან საერთაშორისო დაცვის მქონე პირთან ინდივიდუალური გასაუბრების ჩატარება მისთვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურის დაწყებიდან 1 თვის ვადაში, რათა მას მიეცეს შესაძლებლობა, წარადგინოს ინფორმაცია და განმარტებები იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზედაც დაიწყო მისთვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურა, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომელიც ასაბუთებს ამ პირისათვის შესაბამისი სტატუსის გახანგრძლივების საჭიროებას.

4. თუ ვერ ხერხდება ამ კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით საერთაშორისო დაცვის მქონე პირთან დაკავშირება, ან ეს პირი არ გამოცხადდა გასაუბრებაზე, მისთვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტა, გაუქმება ან ჩამორთმევა განხორციელდება არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

5. თუ საერთაშორისო დაცვის მქონე პირი გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუკავშირდება სამინისტროს, გამოცხადდება სამინისტროში და წარადგენს სათანადო განმარტებებს გამოუცხადებლობის მიზეზთან დაკავშირებით, მათი გამოკვლევის შედეგად უფლებამოსილი თანამდებობის პირი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და გასაუბრების დანიშვნის შესახებ.

6. შესაძლებლობის შემთხვევაში საერთაშორისო დაცვის მქონე პირს გასაუბრება უნდა ჩაუტაროს იმავე სქესის უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა და იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმავე სქესის თარჯიმნის მომსახურებით.

7. საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთან გასაუბრება ტარდება მისი კანონიერი წარმომადგენლის/ადვოკატის/მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის თანდასწრებით.

8. გასაუბრების მასალების სიზუსტის უზრუნველსაყოფად გასაუბრება უნდა დაფიქსირდეს წერილობით და ხმის ჩამწერი მოწყობილობის გამოყენებით. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა

გასაუბრების მასალები საერთაშორისო დაცვის მქონე პირის პირად საქმეში უნდა შეინახოს. ამ პუნქტის საფუძველზე მიღებული პერსონალური მონაცემები დაცული უნდა იქნეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

9. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის საკითხზე გასაუბრების მიმდინარეობისას უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა შეაფასოს როგორც თავის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც უტყუარად ასაბუთებს ამ პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის კანონიერებას, ისე აღნიშნული პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და მტკიცებულებები.

10. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურის დასრულებამდე ამ პირს აქვს მის სტატუსთან დაკავშირებული ყველა უფლება-მოვალეობა.

### მუხლი 54. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება

1. უფლებამოსილი თანამდებობის პირი საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის შესახებ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აცნობებს ამ პირს წერილობით (ქართულ ენაზე და მისთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნს) 3 სამუშაო დღის ვადაში, გადაწყვეტილების გასაჩივრების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობის თაობაზე ინფორმაციის მითითებით.

2. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის შესახებ სამინისტროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ ან ამ გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების შემთხვევაში საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ის და მისი ოჯახის წევრები ვალდებული არიან, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით დატოვონ საქართველო, თუ მათი საქართველოში ყოფნის სხვა სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევების საკითხი რეგულირდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

### მუხლი 55. წარმოებული სტატუსის შეწყვეტა, გაუქმება ან ჩამორთმევა

1. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტა, გაუქმება ან ჩამორთმევა იწვევს ამ პირის ოჯახის წევრის (წევრების) წარმოებული სტატუსის შეწყვეტას, გაუქმებას ან ჩამორთმევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახის წევრი (წევრები) აკმაყოფილებს (აკმაყოფილებენ) ამ კანონის მე-15 ან მე-19 მუხლით გათვალისწინებულ სტატუსის მინიჭების საფუძვლებს. ოჯახის წევრისათვის (წევრებისათვის) წარმოებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის საკითხს უფლებამოსილი პირი განიხილავს ინდივიდუალურად, მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი წესით.

2. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს, რომელთაც შეუწყდათ, გაუუქმდათ ან ჩამოერთვათ წარმოებული სტატუსი, უნდა შეატყობინოს ამის შესახებ, ამასთანავე, უნდა აცნობოს, რომ ეს გადაწყვეტილება გავლენას არ ახდენს მათ უფლებაზე, ამ კანონით დადგენილი წესით მოითხოვონ საერთაშორისო დაცვა.

## თავი VII

## თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის, ჰუმანიტარული და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მქონე პირთა უფლება-მოვალეობანი

## მუხლი 56. თავშესაფრის მაძიებლის უფლებები

თავშესაფრის მაძიებელს უფლება აქვს:

ა) არ იქნეს ექსტრადირებული ან საქართველოდან გაძევებული, ვიდრე მისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით სამინისტრო არ მიიღებს გადაწყვეტილებას ან სასამართლო გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში;

ბ) მიიღოს ინფორმაცია თავისი უფლება-მოვალეობებისა და თავშესაფრის პროცედურის შესახებ;

გ) შესაძლებლობის შემთხვევაში გასაუბრება ჩაუტაროს იმავე სქესის უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა და ისარგებლოს იმავე სქესის თარჯიმნის მომსახურებით;

დ) თავშესაფრის პროცედურის განხორციელებისას ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით;

ე) საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით სასამართლო დავის წარმოებისას ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებით „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ვ) სამინისტროს მიერ საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის პერიოდში დარჩეს მიმღებ ცენტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი პენიტენციურ დაწესებულებაში, სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სამინისტროს დროებითი განთავსების ცენტრში ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში იმყოფება;

ზ) მიიღოს თავშესაფრის მაძიებლის ცნობა და ამ ცნობის საფუძველზე – დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის პერიოდში. დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა არ გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც თავშესაფრის მაძიებელი პენიტენციურ დაწესებულებაში ან სამინისტროს დროებითი განთავსების ცენტრში იმყოფება;

თ) საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფილი იყოს სოციალურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობებით;

ი) საქართველოს მოქალაქის მსგავსად ისარგებლოს სკოლამდელი და ზოგადი განათლების უფლებით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული და უმაღლესი განათლების უფლებით;

კ) საქართველოს მოქალაქის მსგავსად ისარგებლოს სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა;

ლ) ნებაყოფლობით გამოიხმოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადება;

მ) საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით სასამართლო დავის წარმოებისას გათავისუფლდეს სასამართლო ბაჟის გადახდისაგან;

ნ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ისარგებლოს შრომის უფლებით, კერძოდ, დასაქმდეს დამოუკიდებლად ან სხვა დამსაქმებლის მეშვეობით;

ო) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ადმინისტრაციული ორგანოებისადმი და სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით;

პ) იყოს ინფორმირებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან დაკავშირების შესაძლებლობის შესახებ;

ჟ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით უცხოელისა და მოქალაქეობის არმქონე პირისათვის მინიჭებული უფლებებით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

*საქართველოს 2017 წლის 22 მარტის კანონი №484 - ვებგვერდი, 27.03.2017წ.*
*საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3099 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.*
*საქართველოს 2024 წლის 18 აპრილის კანონი №4138 - ვებგვერდი, 02.05.2024წ.*

## მუხლი 57. თავშესაფრის მაძიებლის მოვალეობები

თავშესაფრის მაძიებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, პატივი სცეს ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებსა და ჩვეულებებს;

ბ) არ დატოვოს საქართველო საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის პერიოდში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს დატოვება დაკავშირებულია პირის სასიცოცხლო ინტერესებთან და იგი წერილობით აცნობებს სამინისტროს საქართველოს დატოვების მიზეზებსა და ვადას;

გ) დაასაბუთოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადებაში მითითებული გარემოებები, წარადგინოს ყველა ხელმისაწვდომი დოკუმენტი და შესაბამისი მტკიცებულება, კერძოდ, ინფორმაცია მისი იდენტობის, მოქალაქეობის, წინა საცხოვრებელი ქვეყნის (ქვეყნების) ან ადგილის (ადგილების), სატრანზიტო მარშრუტის, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების, მათ შორის, სამგზავრო დოკუმენტების, და სხვა მიზეზების შესახებ, რომელთა გამოც ის ითხოვს საერთაშორისო დაცვას;

დ) თქვას სიმართლე და ითანამშრომლოს სამინისტროსთან, რათა სრულყოფილად დადგინდეს მის საერთაშორისო დაცვაზე განცხადებაში მითითებული ყველა შესაბამისი გარემოება;

ე) განმარტოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადებაში მითითებული გარემოებების დაუსაბუთებლობა და ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტებისა და მტკიცებულებების წარუდგენლობა ან არარსებობა;

ვ) უფლებამოსილ თანამდებობის პირს წარუდგინოს საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, მათ შორის, სამგზავრო დოკუმენტები, და ყველა სხვა შესაბამისი დოკუმენტი, რომლებიც მას აქვს;

ზ) თავშესაფრის მაძიებლის ცნობის მიღებისთანავე უფლებამოსილ თანამდებობის პირს ჩააბაროს სამგზავრო დოკუმენტი არსებობის შემთხვევაში. ეს დოკუმენტი მას უბრუნდება პირადი განცხადებით საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის საფუძველზე საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის შესახებ სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ან ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ან მის მიერ სამინისტროს გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების შემთხვევაში ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ;

თ) ანკეტირებისას უფლებამოსილ თანამდებობის პირს აცნობოს ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი, აგრეთვე 10 კალენდარული დღის ვადაში – ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის, სამართლებრივი ან სამოქალაქო მდგომარეობის შეცვლის, ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული საიდენტიფიკაციო დოკუმენტის დაკარგვის ან დაზიანების შესახებ;

ი) გადაიღოს ფოტოსურათი, აიღოს თითის ანაბეჭდები და უფლებამოსილი თანამდებობის პირის მოთხოვნის შემთხვევაში ჩაიტაროს შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევა;

კ) მიმღებ ცენტრში განთავსების შემთხვევაში დაემორჩილოს მიმღები ცენტრის შინაგანაწესს;

ლ) ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლის ან საერთაშორისო დაცვის მინიჭების თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით დატოვოს საქართველო, თუ საქართველოში მისი

ყოფნის სხვა სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

### მუხლი 58. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის უფლებები

1. ლტოლვილს ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს:

ა) იყოს ინფორმირებული ამ კანონით მისთვის მინიჭებული საერთაშორისო დაცვის ფორმისა და მინიჭებული სტატუსიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების შესახებ;

ბ) მიიღოს დროებითი ბინადრობის მოწმობა და ცნობა ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების შესახებ;

გ) აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი და საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილდეს თავისუფლად, გარდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია;

ე) ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებიდან 1 თვის განმავლობაში დარჩეს მიმღებ ცენტრში, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში – სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილ სხვა დროებითი განსახლების ადგილას;

ვ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ისარგებლოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებით;

ზ) მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყოველთვიური შემწეობა;

თ) „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო);

ი) იმოგზაუროს სხვა ქვეყანაში, გარდა წარმოშობის ქვეყნისა და იმ ქვეყნისა, სადაც მისი და მისი ოჯახის წევრების ყოფნა უსაფრთხოდ არ ითვლება;

კ) საქართველოს მოქალაქის მსგავსად ისარგებლოს სკოლამდელი და ზოგადი განათლების უფლებით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული და უმაღლესი განათლების უფლებით, ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს სხვა ქვეყანაში მიღებული განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების პროცედურებით;

ლ) საქართველოს მოქალაქის მსგავსად ისარგებლოს სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამებით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა;

მ) საქართველოს მოქალაქის მსგავსად ისარგებლოს შრომის უფლებით, კერძოდ, დასაქმდეს დამოუკიდებლად ან სხვა დამსაქმებლის მეშვეობით;

ნ) ისარგებლოს ოჯახის გაერთიანების უფლებით;

ო) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ადმინისტრაციული ორგანოებისადმი და სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით;

პ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით უცხოელისა და მოქალაქეობის არმქონე პირისათვის მინიჭებული უფლებებით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. სამინისტროს მიმართვის საფუძველზე ლტოლვილის სტატუსის მქონე პირზე გაიცემა „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის 27-ე და 28-ე მუხლებით განსაზღვრული დროებითი ბინადრობის მოწმობა 3 წლის ვადით და ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი.

3. სამინისტროს მიმართვის საფუძველზე ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გაიცემა დროებითი ბინადრობის მოწმობა შესაბამისი სტატუსის მოქმედების ვადით და სამგზავრო პასპორტი.

4. ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტისა და სამგზავრო პასპორტის ფორმასა და გაცემის წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

### მუხლი 59. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მოვალეობები

ლტოლვილი ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, პატივი სცეს ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებსა და ჩვეულებებს;

ბ) აცნობოს სამინისტროს ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის ან/და სხვა საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლის შესახებ;

გ) დაუკავშირდეს უფლებამოსილ თანამდებობის პირს ბინადრობის მოწმობის ვადის გასვლამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე, ხოლო მისი დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში – დაუყოვნებლივ.

### მუხლი 60. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სოციალურ-ეკონომიკური გარანტიები

1. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტრო კოორდინაციას უწევს ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების საქმიანობას ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა დახმარების სფეროში.

2. ამ კანონის 58-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყოველთვიური შემწეობის გაცემა შეუჩერდება იმ ლტოლვილს ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს, რომელიც:

ა) საქართველოს 1 თვეზე მეტი ვადით დატოვებს;

ბ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში;

გ) პირადი განცხადებით უარს იტყვის ყოველთვიური შემწეობის მიღებაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შეჩერებული ყოველთვიური შემწეობა აღდგება შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიერ პირადი განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

### მუხლი 61. დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებები

დროებითი დაცვის ქვეშ მყოფ პირს უფლება აქვს:

ა) იყოს ინფორმირებული ამ კანონით მისთვის მინიჭებული საერთაშორისო დაცვის ფორმისა და მინიჭებული სტატუსიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების შესახებ;

ბ) მიიღოს დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მქონე პირის ცნობა და დროებითი ბინადრობის მოწმობა მისთვის მინიჭებული დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მოქმედების ვადით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში მიიღოს სამედიცინო მომსახურება;

დ) ისარგებლოს სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების უფლებით, ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს სხვა ქვეყანაში მიღებული განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების პროცედურებით;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ადმინისტრაციული ორგანოებისადმი და სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით;

ვ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით უცხოელისა და მოქალაქეობის არმქონე პირისათვის მინიჭებული უფლებებით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ზ) უზრუნველყოფილი იყოს კვებითა და თავშესაფრით ან შესაბამისი ფულადი დახმარებით მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

### მუხლი 62. დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მოვალეობები

დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, პატივი სცეს ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებსა და ჩვეულებებს;

ბ) აცნობოს სამინისტროს ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის ან/და სხვა საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლის შესახებ;

გ) ითანამშრომლოს უფლებამოსილ თანამდებობის პირთან;

დ) გადაიღოს ფოტოსურათი, აიღოს თითის ანაბეჭდები და უფლებამოსილი თანამდებობის პირის მოთხოვნის შემთხვევაში ჩაიტაროს შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევა;

ე) დაუკავშირდეს უფლებამოსილ თანამდებობის პირს ბინადრობის მოწმობის ვადის გასვლამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე, ხოლო მისი დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში – დაუყოვნებლივ.

### მუხლი 63. საერთაშორისო დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება

ამ კანონით განსაზღვრული საერთაშორისო დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებენ ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები სახელმწიფო ბიუჯეტით მათთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

## თავი VIII

## საერთაშორისო დაცვის მქონე პირთან დაკავშირებული საკითხების გრძელვადიანი გადაწყვეტა

### მუხლი 64. საერთაშორისო დაცვის მქონე პირის რეპატრიაცია

საერთაშორისო დაცვის მქონე პირის რეპატრიაციის განსახორციელებლად სამინისტრომ უნდა დაიცვას შემდეგი პირობები:

ა) რეპატრიაცია ნებაყოფლობითი უნდა იყოს და იგი ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელმა სახელმწიფო უწყებებმა უნდა განახორციელონ;

ბ) რეპატრიაციის შესახებ საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ნება წერილობით უნდა იქნეს გამოხატული;

გ) საერთაშორისო დაცვის მქონე პირს უნდა მიეწოდოს ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია მის წარმოშობის ქვეყანაში არსებული მდგომარეობის და იქ დაბრუნების შესაძლო შედეგების შესახებ.

### მუხლი 65. საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაცია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან ან/და კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს ან/და ახორციელებს საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის პროგრამებს და ხელს უწყობს ამ პროგრამებში მათ ჩართვას.

*საქართველოს 2018 წლის 6 დეკემბრის კანონი №3874 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.*

## თავი IX

## პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადები

### მუხლი 66. პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადები

ამ კანონის საფუძველზე დამუშავებული პერსონალური მონაცემები ნადგურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავშესაფრის მაძიებლისათვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, აგრეთვე უცხოელისათვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისათვის დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე სამინისტროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ან ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის შესახებ სამინისტროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ან სამინისტროს გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების შემთხვევაში ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

## თავი X

## ადმინისტრაციულ ორგანოთა უფლებამოსილებანი და ვალდებულებანი. საერთაშორისო თანამშრომლობა

### მუხლი 67. სამინისტრო

1. სამინისტრო უზრუნველყოფს ამ კანონით განსაზღვრული საერთაშორისო დაცვის უფლების განხორციელებას.

2. ამ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად სამინისტრო:

ა) ახდენს თავშესაფრის მაძიებლის იდენტიფიკაციას და შესაბამისი სტატუსის განსაზღვრისას ამოწმებს მიწოდებულ ფაქტებს, საჭიროების შემთხვევაში ამოწმებს საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსული თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და საჯარო მართლწესრიგისათვის პოტენციური საშიშროების შექმნის საკითხს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში მიმართავს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსული თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის პოტენციური საშიშროების შექმნის საკითხზე რეკომენდაციის მისაღებად;

გ) ამოწმებს თავშესაფრის მაძიებლის დოკუმენტებს სასაზღვრო გამტარ პუნქტში;

დ) უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტავს ამ კანონით გათვალისწინებულ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლებას და მოვალეობებს, აგრეთვე თავშესაფრის პროცედურას იმ შემთხვევაში, როდესაც იგი თავშესაფარს სასაზღვრო გამტარ პუნქტში ითხოვს;

ე) უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიღებას და არგაძევებას ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული არგაძევების პრინციპის დაცვით;

ვ) უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემთხვევაში ატარებს მასთან პირველად გასაუბრებას;

ზ) უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემთხვევაში იღებს მის საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ამ პირს სამგზავრო დოკუმენტი ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ მას არ გააჩნია სამგზავრო დოკუმენტი ან სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, საერთაშორისო დაცვაზე განცხადება დგება უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;

თ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განიხილავს იმ პირის საქართველოდან გაძევების საკითხს, რომელსაც ამ კანონით გათვალისწინებული თავშესაფრის პროცედურის შესაბამისად არ მიენიჭა ამ კანონით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსი, ან რომელსაც ამაზე უარი ეთქვა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, ან რომელსაც ამ კანონის შესაბამისად შეუწყდა, გაუუქმდა ან ჩამოერთვა მინიჭებული სტატუსი;

ი) სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აცნობებს ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად სამინისტროს მიერ თავშესაფრის მაძიებლის საქმეზე მიღებული ამ კანონით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა თავშესაფრის მაძიებლის მოთხოვნა მისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების შესახებ;

კ) საჭიროების შემთხვევაში მიმართავს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს თავშესაფრის მაძიებლის პიროვნების იდენტიფიკაციაში დახმარების მისაღებად, თუ სამინისტრო თავად ვერ ახდენს პირის იდენტიფიცირებას;

ლ) სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უგზავნის თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა სიებს მათზე დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობისა და ბინადრობის მოწმობის გაცემის მიზნით. სამინისტრო ამ სააგენტოს ასევე აწვდის თავშესაფრის მაძიებლისათვის ამ კანონით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ და საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის თაობაზე ინფორმაციას მათზე გაცემული დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის, დროებითი ბინადრობის მოწმობისა და ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტის/სამგზავრო პასპორტის გაუქმების მიზნით;

მ) თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებების განხორციელების უზრუნველყოფისას თანამშრომლობს ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობასთან;

ნ) საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობას აწვდის თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შესახებ ინფორმაციას;

ო) ახორციელებს მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებას;

პ) ანაზღაურებს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მოთხოვნის საფუძველზე თავშესაფრის მაძიებლისა და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის ჩატარებული შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევის ხარჯებს;

ჟ) ახორციელებს ამ კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. მინისტრი უფლებამოსილია ამ კანონით სამინისტროს კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცეს შესაბამისი ნორმატიული აქტები.

*საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3099 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.*

## მუხლი 68. (ამოღებულია)

*საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3099 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.*

## მუხლი 69. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს თავშესაფრის მაძიებლის იდენტიფიკაციას და შესაბამისი სტატუსის განსაზღვრისას ამოწმებს ამ პირის მიერ მიწოდებულ ფაქტებს, აგრეთვე სამინისტროს ამლევს რეკომენდაციას თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის პოტენციური საშიშროების შექმნის საკითხზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის პოტენციური საშიშროება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ თავშესაფრის მაძიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირს კავშირი აქვს:

ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან;

ბ) სხვა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებთან;

გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან;

დ) სხვა დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან) ან/და შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების შესახებ ინფორმაცია სამინისტროს ისეთი ფორმით უნდა მიეწოდოს, რომ ზიანი არ მიადგეს სახელმწიფო საიდუმლოების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის ინტერესებს.

## მუხლი 70. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო:

ა) სამინისტროს მიერ გაცემული თავშესაფრის მაძიებლის ცნობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თავშესაფრის მაძიებელზე გასცემს დროებით საიდენტიფიკაციო მოწმობას, ხოლო საერთაშორისო დაცვის მქონე პირზე – დროებითი ბინადრობის მოწმობას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საერთაშორისო დაცვის მქონე პირზე გასცემს ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტს/სამგზავრო პასპორტს;

გ) თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სამოქალაქო აქტების

რეგისტრაციას და გასცემს შესაბამის მოწმობას.

## მუხლი 71. საქართველოს პროკურატურა

1. საექსტრადიციო პროცედურების განხორციელებისას საქართველოს პროკურატურა ვალდებულია ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე, წერილობით განუმარტოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლება.

2. საქართველოს პროკურატურა დაუყოვნებლივ აწვდის სამინისტროს საექსტრადიციო პროცედურაში მყოფი პირის საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას.

3. საქართველოს პროკურატურა აწვდის სამინისტროს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირის საექსტრადიციო დოკუმენტაციას.

## მუხლი 72. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური:

ა) უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემთხვევაში ახდენს მისი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის იდენტიფიცირებას, ამასთანავე, მისთვის გასაგებ ენაზე, წერილობით განუმარტავს მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლებას და შესაბამის დოკუმენტაციას დაუყოვნებლივ უგზავნის სამინისტროს;

ბ) სასჯელის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 2 კვირისა, ხოლო სხვა საფუძვლით გათავისუფლებისას – გათავისუფლებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა აცნობებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის გათავისუფლების თარიღს;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს უფლებამოსილი თანამდებობის პირის (პირების) თავშესაფრის მაძიებელთან ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირთან შეხვედრის ორგანიზებას დაკავების ადგილას ან პენიტენციურ დაწესებულებაში;

დ) შესაბამისი მოთხოვნის არსებობისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს უფლებამოსილი თანამდებობის პირისათვის (პირებისათვის) თავშესაფრის მაძიებლის დოკუმენტების ასლების გადაგზავნას, მათ შორის, სამგზავრო დოკუმენტისა, მისი არსებობის შემთხვევაში;

ე) სამინისტროს აწვდის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, დაქტილოსკოპიურ მონაცემებს.

*საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3099 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.*

## მუხლი 73. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო:

ა) სამინისტროს მიმართვის საფუძველზე აწვდის მას საერთაშორისო დაცვის საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციას, ამ კანონის მე-5 მუხლის გათვალისწინებით;

ბ) ამ კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, სამინისტროს მიმართვის საფუძველზე ეხმარება მას საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის გაერთიანებაში, აგრეთვე საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს საქართველოს ვიზას საქართველოში გამომგზავრების მსურველ საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის წევრებზე;

გ) სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების დახმარებით ხელს უწყობს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ნებაყოფლობით რეპატრიაციას.

**მუხლი 74. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:

ა) უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ ამ კანონის 56-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით, 58-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტითა და 61-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობას;

ბ) სამინისტროს მიმართვის საფუძველზე მეურვით/მზრუნველით/მხარდამჭერით უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანს და იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, ამასთანავე, არასრულწლოვანს განათავსებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით;

გ) ამ კანონის აღსრულებისთვის პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან ან/და კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს ან/და ახორციელებს საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის პროგრამებს და ხელს უწყობს ამ პროგრამებში მათ ჩართვას.

*საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3099 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.*
*საქართველოს 2018 წლის 6 დეკემბრის კანონი №3874 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.*

**მუხლი 75. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო**

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო:

ა) თავშესაფრის მაძიებლისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. თავშესაფრის მაძიებლისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი, პროგრამის შინაარსი, განხორციელების ვადები და დაფინანსების წესი განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით;

ბ) უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებლისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ ამ კანონის 56-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით, 58-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტითა და 61-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობას;

გ) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე უგზავნის მას ინფორმაციას თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ ამ კანონის 56-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით, 58-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტითა და 61-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის შესახებ;

დ) ადგილობრივი ინტეგრაციის საკითხებზე თანამშრომლობს სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან.

*საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3099 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.*
*საქართველოს 2018 წლის 6 დეკემბრის კანონი №3874 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.*
*საქართველოს 2021 წლის 16 მარტის კანონი №364 – ვებგვერდი, 18.03.2021წ.*
*საქართველოს 2023 წლის 30 ნოემბრის კანონი №3850 – ვებგვერდი, 15.12.2023წ.*

**მუხლი 76. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახური**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებლისათვის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის, სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის საკითხებზე უფასო იურიდიული დახმარების გაწევას.

### მუხლი 77. სამინისტროს თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

1. სამინისტრო საერთაშორისო დაცვის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობს სხვა ქვეყნებთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

2. სამინისტრო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან თანამშრომლობს „საქართველოს მთავრობასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლეს კომისარს შორის“ 1996 წლის 11 სექტემბრის შეთანხმების ფარგლებში. ამ კანონის 46-ე მუხლით გათვალისწინებული ოჯახის გაერთიანების მიზნით საქართველო თანამშრომლობს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან.

## თავი XI

## გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

### მუხლი 78. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. 2017 წლის 1 თებერვლამდე საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს საქართველოს კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

2. 2017 წლის 1 თებერვლამდე სამინისტრომ შეიმუშაოს და მინისტრმა დაამტკიცოს:

ა) თავშესაფრის მაძიებლის ცნობის ფორმა, მისი გაცემისა და შეცვლის წესი;

ბ) თავშესაფრის პროცედურა;

გ) მიმღებ ცენტრში განთავსების ან სხვა ადგილას განსახლების წესი;

დ) თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდების აღების და ამ პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი;

ე) ამ კანონის საფუძველზე დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადები.

3. 2017 წლის 1 თებერვლამდე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშაოს და საქართველოს იუსტიციის მინისტრმა დაამტკიცოს ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სამგზავრო დოკუმენტის – სამგზავრო პასპორტის ფორმა და გაცემის წესი.

4. (ამოღებულია - 05.07.2018, №3099).

*საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3099 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.*

### მუხლი 79. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს 2011 წლის 6 დეკემბრის №5370-IIს კანონი „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 20.12.2011, სარეგისტრაციო კოდი: 010170000.05.001.016513).

### მუხლი 80. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი–77-ე მუხლებისა და 79-ე მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი–77-ე მუხლები და 79-ე მუხლი ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

1 დეკემბერი 2016 წ.

N42-Iს